შეთანხმება №02-28/01

(2013 წლის 17 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის №02-28/01
ხელშეკრულებაში ტექნიკური შეცდომისა და ცვლილებების შეტანის შესახებ)

ქ. თბილისი **20 დეკემბერი 2013წ.**

2013 წლის 17 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02-28 ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება") მხარეები, **სსიპ - „იუსტიციის სახლი"** („შემსყიდველად" წოდებული), ფინანსური ოპერაციების დირექტორის **ჯუმბერ წულაძის** სახით, ერთი მხრივ და **შპს „მაგთიკომი"** („მიმწოდებლად" წოდებული), **დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის** სახით, მეორეს მხრივ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წერილობით ვთანხმდებით:

1. გასწორდეს ხელშეკრულებაში არსებული ტექნიკური შეცდომა და ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.2.3. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„2.2.3. უზრუნველყოს დანართი #1-ით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2013 წლის 17 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ასევე არხების მიმართულებებით შემსყიდველის სტრუქტურებს შორის კავშირი და მისცეს საშუალება შემსყიდველს უზრუნველყოს მიმწოდებლის აღჭურვილობის ინტერფეისი საკუთარ მოწყობილობებთან.";

2. ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.2.7. ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„2.2.7. 2.1.5. ქვეპუნქტის მიხედვით, მიღებული შეტყობინების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას მოახდინოს კონკრეტული წერტილის დემონტაჟი და მისი ხელახალი მონტაჟი შემსყიდველის სახსრებით;

3. ამოღებულ იქნეს ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.2.9 ქვეპუნქტი;

4. ხელშეკრულების ღირებულება შემცირდეს 504.79 ლარით და მე-3 პუნქტის 3.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
„3.1. ხელშეკრულების **ღირებულება, დღგ-ს ჩათვლით, შეადგენს 12 183.38 (თორმეტიათას ას ოთხმოცდასამი ლარი და 38 თეთრი) ლარს.";**

5. ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.2. ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„3.2. გასაწევი მომსახურების საფასური თვეში, დღგ-ს ჩათვლით, განისაზღვრება დანართი #1-ის შესაბამისად.";

6. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის 4.1 ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
„4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.";

7. ამოღებულ იქნეს ხელშეკრულების მე-7 პუნქტის 7.1 ქვეპუნქტი;

8. ხელშეკრულების მე-7 პუნქტის 7.2. ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„7.2. ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება წერილობითი შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა წინასწარ, გონივრულ ვადაში, წერილობით უნდა შეატყობინოს მხარეს ცვლილების შეტანის თაობაზე.";

9. ხელშეკრულების დანართი #1 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული დანართით.

10. გაუქმდეს ხელშეკრულების დანართი #2.

11. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს ძირითად ხელშეკრულებასთან ერთად.

12. შეთანხმება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ერთი -„მიმწოდებელთან".

მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"
სსიპ - იუსტიციის სახლი", ს/კ 204580202

ფინანსური ოპერაციების დირექტორი ---------- *ჯუმბერ წულაძე*

„მიმწოდებელი"
შპს „მაგთიკომი", ს/კ204876606

დირექტორის მოადგილე ---------- **გია კოშორიძე**

დანართი #1

1. გასაწევი მომსახურების

#	ქალაქი	მისამართი	მომსახურება	ადგილმდებარეობა	მომსახურების გაწევის ვადები	სიჩქარე
1	მესტია	კახიანის 38	IP კავშირი	სხვა დანარჩენი	17.01.2013-19.12.2013	512 კბ/წმ
					20.12.2013-31.12.2013	2 მბ/წმ
2	ქუთაისი	აბაშიძის 20	IP კავშირი	მაგისტრალი	17.01.2013-31.12.2013	4 მბ.წმ

2. მომსახურების ტარიფები (ლარი)

#	შიდა ქსელის ტრაფიკის სიჩქარე	ყოველთვიური სააბონენტო ლარი დღგ-ს ჩათვლით (მაგისტრალი)	ყოველთვიური სააბონენტო ლარი დღგ-ს ჩათვლით (სხვა დანარჩენი)
1	512 კბ/წმ	294.91	368.64
2	2 მბ/წმ	393.22	491.52
3	4 მბ.წმ	688.13	860.16

3. ფასების ცხრილი (ლარი)

იანვარი (17.01.2013-31.01.2013)	თებერვალი-ნოემბერი (10 თვე)	2013 წლის 1 დეკემბრიდან 2013 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით	2013 წლის 20 დეკემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
511.34	10567.7	647.7	456.64

„შემსყიდველი“
სსიპ - "იუსტიციის სახლი"
ფინანსური ოპერაციების დირექტორი

ჯუმბერ წულაძე

„მიმწოდებელი“
შპს „მაგთიკომი“
დირექტორის მოადგილე

გია კოშორიძე